სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და რეგულირების სფერო

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესის (შემდგომში - ,,წესი“) მიზანია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სტუდენტების უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2.წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტების შერჩევის პროცედურულ საკითხებს.

მუხლი 2. საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების საფუძვლები

უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების საფუძვლები შეიძლება იყოს პარტნიორ უცხოულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ორმხრივი წერილობითი დოკუმენტი (მემორანდუმი, ხელშეკრულება და სხვ.), დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ მიღებული საერთაშორისო პროექტი ან სხვა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც უნივერსიტეტი მონაწილეობს, სამთავრობო გრანტები.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიზნები საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების ფარგლებში

გარდა უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევით სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და უნივერსიტეტის სივრცეში დამკვიდრების კუთხით უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული უნივერსიტეტის მიზნებისა, უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში (შემდგომში - ,,გაცვლითი და მობილობის პროგრამები“) უნივერსიტეტის მიზანია, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში, შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების შეძენის, უკეთესი კარიერული მომავლის დაგეგმვისა და რეალიზებისა და მიღებული ცოდნისა და გამოცდილების უნივერსიტეტისათვის მოხმარებისათვის.

მუხლი 4. გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა შერჩევის პროცედურა

1. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა შერჩევისათვის უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი უნივერსიტეტის ვებგვერდზე აცხადებს შესაბამის ინფორმაციას აპლიკანტთა რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში აღინიშნება უცხოეთის რომელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება კონკრეტული გაცვლითი ან მობილობის პროგრამა/პროგრამები და სწავლების რომელ საფეხურზე, რომელი სემესტრის სტუდენტებისთვისაა შესაძლებელი გაცვლით ან მობილობის პროგრამაში მონაწილეობა, რა ვადებს მოიცავს გაცვლითი ან მობილობის პროგრამა, დაინტერესებული პირების მონაწილეობისათვის განსაზღვრული წინაპირობები, რა ეტაპებისაგან შედგება შერჩევის პროცედურა და შესაბამისი რეგისტრაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები და ფორმები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია (დეტალები). განცხადება წარმოადგენს წინამდებარე შერჩევის წესის საფუძველზე მიღებულ და მის შემადგენელ პროცედურულ ნაწილს, რომლის მოთხოვნების დაცვა

სრულად აუცილებელია და ამ მოთხოვნების დარღვევა განიხილება წინამდებარე წესის დარღვევად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება.

2. რეგისტრაციის თაობაზე განცხადების საფუძველია შესაბამისი ვაკანტური ადგილების (სტიპენდიების) არსებობა.

3. რეგისტრაცია დაინტერესებულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს უნივერსიტეტის ვებგვერდზე ან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების მიმღები უცხოური მხარის პორტალზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიეთითება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მხოლოდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე რეგისტრაციის წინაპირობებია:

ა) სტუდენტის აქტიური სტატუსი;

ბ) პირი არ უნდა იყოს სწავლების ბოლო ან ბოლოსწინა სემეტრის სტუდენტი, ამასთან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60 კრედიტისა;

გ) სტუდენტის GPA არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები;

დ) პირის საგანმანათლებლო პროფილი (ფაკულტეტი, პროგრამული მიმართულება, საგანმანათლებლო პროგრამა) უნდა იყოს გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებული ვაკანსიის პროფილის შესაბამისი;

ე) წინამდებარე წესითა და ხელშეკრულების ფორმით გათვალისწინებული, სრულფასოვნად შევსებული სასწავლო ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების მიმღები უცხოური მხარის პორტალზე რეგისტრაციისათვის აუცილებელი წინაპირობები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა ქვეყნდება ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის ინდივიდუალურად, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ფარგლებში.

6. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული წინაპირობებისა, დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ისინი გამოქვეყნდება საჯაროდ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ფარგლებში.

7. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის (რეგისტრაციის წინაპირობების დაკმაყოფილების) მიზნით შესავსები სასწავლო ხელშეკრულება არის მრავალმხრივად ხელმოსაწერი დოკუმენტი სტუდენტს, უნივერსიტეტსა და მასპინძელ (მიმღებ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას (რომელშიც უნდა განხორციელდეს გაცვლითი პროგრამის საფუძველზე სტუდენტის სწავლება) შორის, სადაც ჩამოთვლილია ის საგანმანათლებლო დისციპლინები, რომლებსაც სტუდენტი, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის (სტიპენდიის მოპოვების) შემთხვევაში, გაივლის მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლებიც თავსებადია სტუდენტის საგანმანათლებლო პროფილთან.

8. წინამდებარე წესით გათვალისწინებული, ასევე სასწავლო ხელშეკრულების შევსების მიზნებისათვის დაინტერესებული სტუდენტი ვალდებულია თავად მოიძიოს სასურველი მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე (იმ შემთხვევაში თუ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამ ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტს, იგი ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის მიერ წინამდებარე წესით გათვალისწინებული განცხადების შინაარსში) უცხოელი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იმ საგანმანათლებლო

დისციპლინების ჩამონათვალი, რომელიც იკითხება გაცვლითი პროგრამით გათვალისწინებულ მობილობის ენაზე (ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაში მითითებული სწავლების ენა) იმ საგანმანათლებლო სემესტრში, რომელიც გათვალისწინებულია მობილობის სემესტრად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიხედვით.

9. გარდა წინამდებარე წესში მოცემული პირობებისა, სასწავლო ხელშეკრულებაზე სავალდებულოა სტუდენტის და უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. სტუდენტის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმოწერა ადასტურებს შემდეგს:

ა) ფაკულტეტის მზადყოფნას, განიხილოს იმ საგანმანათლებლო დისციპლინების გავლის შედეგად მიღებული კრედიტების აღიარება, რომლებიც სტუდენტს უფიქსირდება სასწავლო ბარათში მისი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მობილობიდან დაბრუნებისას;

ბ) სტუდენტს სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებული საგანმანათლებლო დისციპლინები არ აქვს გავლილი უნივერსიტეტში და არც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის პროცედურის მიმდინარეობის არსებულ სემესტრში არ გადის მათ;

გ) სტუდენტის მიერ სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებული საგანმანათლებლო დისციპლინები თავსებადია/ შესაბამისია იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც იგი ირიცხება უნივერსიტეტში და ხელს უწყობს შესაბამისი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

10. გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დებულებებისა სასწავლო ხელშეკრულების შევსებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რომ მასში არ არის რეკომენდებული ისეთი საგანმანათლებლო დისცილინების მითითება, რომელიც სტუდენტის მიერ მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დაბრუნების შემდეგ გამოიწვევს სტუდენტის სწავლების პერიოდის გახანგრძლივებას, მაგრამ თუ აღნიშნული საჭიროება გარდაუვალი იქნება, ამის შესახებ სტუდენტს უნდა განემარტოს დეტალურად ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ამ უკანასკნელის მხრიდან სასწავლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე.

11. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი რეგისტრაციის მიზნებისათვის სათანადო პორტალზე სტუდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას:

ა) პირადობის დამადასტურებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტის - პასპორტის (მისი არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწობის) ასლი (სკანირებული pdf ვერსია);

ბ) CV-ს ევროპული ფორმატი (უცხოურ ენაზე (სკანირებული pdf ვერსია);

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (უცხოურ ენაზე (სკანირებული pdf ვერსია);

დ) სტუდენტის მიმდინარე შეფასებების ამონაწერი მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, GPA-ის მითითებით (უცხოურ ენაზე (სკანირებული pdf ვერსია);

ე) უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სკანირებული pdf ვერსია);

ვ) სსსმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა/დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში (სკანირებული pdf ვერსია);

ზ) დადგენილი წესით შევსებული და დამოწმებული სასწავლო ხელშეკრულება (სკანირებული pdf ვერსია);

თ) რეკომენდაცია (ივსება ელექტრონულად);

ი) სამოტივაციო წერილი არაუმეტეს 1 გვერდისა; ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2 სმ. (სამოტივაციო წერილი უნდა

დაიწეროს იმ პროგრამაზე მოქმედ სწავლების ენაზე, რაზეც აპლიკანტი განაცხადს აკეთებს (pdf ვერსია);

კ) მრავალპროგრამიანი კონკურსის შემთხვევაში, სასურველი მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი ინგლისურ ენაზე ლათინური ანბანის მიხედვით (განაცხადის გაკეთება შესაძლებელია მაქსიმუმ 3 უნივერსიტეტზე (pdf ვერსია).

12. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული, რეგისტრაციის მიზნით ასატვირთი დოკუმენტაციისა, დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ისინი გამოქვეყნდება საჯაროდ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების ფარგლებში.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხო ენის ცოდნის დადასტურება უნდა მოხდეს:

ა) შესაბამისი რეგისტრაციის დასრულებამდე არაუადრეს 2 კალენდარული წლით აღებული შემდეგი სერტიფიკატების საფუძველზე:

ინგლისური ენის შემთხვევაში: TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა) ან CAMBRIDGE (FCE)-ის სერთიფიკატი;

გერმანული ენის შემთხვევაში: TestDaF (TDN 3), DSH (DSH 1), DSD (B2), Goethe Certificate (90-100)

ფრანგული ენის შემთხვევაში: DELF (B2), DALF (B2)

იტალიური ენის შემთხვევაში: CILS (B2), PLIDA (B2)

ესპანური ენის შემთხვევაში: DELE (B2), eLADE (B2)

პორტუგალიური ენის შემთხვევაში: CAPLE (B2)

ბერძნული ენის შემთხვევაში: Certificate of Attainment in Greek (B2)

თურქული ენის შემთხვევაში: TYS (B2)

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხოური ენების ინსტიტუციური ტესტირების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 71 ქულისა), რომლის შედეგიც ძალაშია ტესტირების ჩატარების სემესტრისა და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში;

გ) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 1 სემესტრის განმავლობაში დასწრებულად სწავლის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობის საფუძველზე, სწავლების ენის მითითებით, სადაც სწავლების ენად გამოყენებული იყო შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მოქმედი სწავლების ის ენა, რომელზეც სწავლება სურს სტუდენტს წინამდებარე წესის საფუძველზე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციისას.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის ტესტირებას უცხოურ ენაში ორგანიზებას უკეთებს და ატარებს უნივერსიტეტი. ტესტირების ორგანიზებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, საგამოცდო ცენტრი და ენების ცენტრი. ტესტირებაზე რეგისტრაცია ცხადდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პოტენციურად დაინტერესებული არიან უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებადი გაცვლითი პროგრამებით. ვინაიდან, ტესტირების შედეგი ძალაშია ტესტირების ჩატარების სემესტრისა და მომდევნო 1 სემესტრის განმავლობაში, ტესტირებაზე დაიშვება უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე იმყოფება მე-2-დან მე-6 სემესტრში, მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე პირველ და მეორე სემესტრში, ხოლო დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე პირველიდან მე-4 სემესტრში (იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის დოქტორანტი წარმოადგენს ცნობას, რომ იგი სადოქტორო ნაშრომს ვერ იცავს დამატებით საგანმანათლებლო სემესტრის/სემესტრების გარეშე, იგი დაიშვება ტესტირებაზე იმ დათქმით, რომ ტესტირების წარმატებით გავლისა და სტიპენდიის მიღების შემთხვევაში, მობილობაში გატარებული სემესტრი მისთვის არ იქნება დამამთავრებელი.

ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტების ტესტირებაზე რეგისტრაცია ხდება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ, მის მიერ შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემდეგ).

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ ტესტირებაზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად (გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე). ტესტირებაზე დაიშვება მხოლოდ პორტალზე წინასწარ რეგისტრირებული სტუდენტი, რომელსაც რეგისტრაციისას მიენიჭა უნიკალური კოდი.

16. ტესტირების ორგანიზება ხდება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის თანახმადაც ენების ცენტრის მიერ მზადდება სატესტო მასალა, ხოლო საგამოცდო ცენტრის მიერ ხორციელდება უშუალოდ ტესტირების პროცედურის იმ ნაწილის ორგანიზება და განხორციელება, რომელზეც სტუდენტების მიერ ხდება ტესტის ჩაბარება.

17. ტესტირების გასავლელად რეგისტრირებული სტუდენტი ტესტირებაზე უნდა გამოცხადდეს დადგენილ დროზე ათი წუთით ადრე (იდენტიფიკაციისთვის და ადგილის მისანიჭებლად). სტუდენტმა ტესტირებისას თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. ტესტირების ერთ რაუნდში შესაძლებელია ტესტის გავლა მხოლოდ ერთ უცხოურ ენაში. გასავლელი ტესტი 100 ქულიანია და გამსვლელი მინიმალური დადებითი ზღვარია 71 ქულა (70 და ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში ტესტირება დადებით შედეგით გავლილად არ ითვლება). ტესტის შედეგს ასწორებს ენების ცენტრი და შედეგებს აწვდის საგამოცდო ცენტრს. საგამოცდო ცენტრი ტესტირების შედეგებს აყალიბებს ცხრილის სახით და გადასცემს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი მიღებულ შედეგებს ასახავს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე არსებულ თითოეული რეგისტრირებული სტუდენტის პირად გვერდზე. ამასთან, აღნიშნული შედეგები ასევე აისახება პორტალზე რეგისტრირებული სტუდენტის პირად ელექტრონულ გვერდზე და ავტომატურად გაიგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე, მიღებული ქულის მითითებით.

18. ენის ტესტის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი აკეთებს ელექტრონულ განაცხადს მისთვის სასურველ გაცვლით ან მობილობის პროგრამაზე წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით. გაცვლით და მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის მიზნით (რეგისტრაციის დასრულებისა და ამ წესით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ), რექტორის ბრძანებით, იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისაგან. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისია ვალდებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი გასაუბრების საფუძველზე განახორციელოს სტუდენტა შეფასება.

19. ამ მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

ა) სრულყოფილად სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმომდგენი, რეგისტრირებული სტუდენტის GPA (მრავლდება 10-ზე), რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 25-40 ქულა;

ბ) საგანმანათლებლო დისციპლინების/კვლევის მიმართულების თავსებადობა უნივერსიტეტისა და მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 0-5 ქულა;

გ) სსსმ პირის სტატუსი - 1 ქულა.

დ) გასაუბრება (გასაუბრება ტარდება იმ შესაბამის უცხოურ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება სტუდენტის მიერ შერჩეულ მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დაწესებულებებში) და მისი კომპონენტებია:

დ.ა) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თავსებადობა სტუდენტის საგანმანათლებლო ან/და კვლევით მიზნებთან, რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 0-15 ქულა;

დ.ბ) სტუდენტის მოტივაციის შეფასება, რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 0-10 ქულა;

დ.გ) სტუდენტის ზეპირი პრეზენტაცია, სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 0-10 ქულა.

20. რეგისტრირებული (გასაუბრების ეტაპამდე მისული) სტუდენტის მიმართ გაცვლით ან მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით დადებითი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, თუ მას ჯამურად მიენიჭა 59 (სსსმ პირის შემთხვევაში 60) და ნაკლები ქულა ან ამ მუხლის მე-19 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებში მიენიჭა 19 (სსსმ პირის შემთხვევაში 20) და ნაკლები ქულა.

21. შესაბამისი კომისიის წევრი შერჩევის პროცესში მონაწილე სტუდენტს აფასებს ინდივიდუალურად წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე. კომისიის თითოეული წევრი გასაუბრებამდე მიიღებს აპლიკანტების საკონკურსო დოკუმენტაციას და მისი მოვალეობაა, გაეცნოს ამ დოკუმენტაციას გასაუბრებამდე. კომისიის თითოეული წევრი აფასებს მხოლოდ იმ სტუდენტს, რომლის დოკუმენტაცია წაკითხული აქვს და რომლის გასაუბრებაში პირადად მიიღო მონაწილეობა. ამ წესით გათვალისწინებული ქულები სტუდენტს ენიჭება საშუალო არითმეტიკული წესით მიღებული ქულის სახით, რაც გამოიანგარიშება იმ კომისიის წევრთა მიერ შესაბამისი სტუდენტისთვის მინიჭებული ქულებიდან, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამავე სტუდენტის შეფასებაში.

22. კონკრეტულ გამოცხადებულ გაცვლით პროგრამაში/პროგრამებში მონაწილეობის მიზნით მონაწილე სტუდენტების შესარჩევი პროცესის დასრულების შემდგომ, ამ შერჩევის პროცესში მონაწილე სტუდენტების შეფასებების არსებობის საფუძველზე, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ადგენს რეიტინგულ სიას, რომელშიც სტუდენტები მითითებული არიან მათთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე, ამ ქულათა კლებადობის პრონციპით. შერჩევის პროცესში მონაწილე სტუდენტი რეიტინგულ სიაში არ შეიყვანება თუ იგი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე ან გამოტოვა შერჩევის პროცესის ისეთი ეტაპი ან/და კომპონენტი, რაც არ იძლევა მისთვის შესაბამისი ქულის მინიჭების საშუალებას. რეიტინგული სია მოიცავს შერჩევაში მონაწილე ყველა სტუდენტს, რომელსაც გავლილი აქვს შერჩევის ყველა ეტაპი და კომპონენტი მიუხედავად იმისა მის მიერ მიღებული ქულები წარმოადგენს თუ არა ამ წესით გათვალისწინებულ დადებითი გადაწყვეტილებისათვის საკმარისს.

23. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის თაობაზე დადებით გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ სტუდენტების მიმართ, რომლებმაც დააგროვეს ამ მუხლის მე-20 პუნქტით გათვალისწინებულ ქულათა საკმარისი და სხვა, მის კონკურენტ ამავე შერჩევის პროცესში მონაწილე სტუდენტებზე მეტი ოდენობის ქულა (უცხოეთის მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ვაკანსიების გათვალისწინებით).

24. მიღებული გადაწყვეტილებებისა და გაცვლით პროგრამაში სარეიტინგო სიის საფუძველზე კონკრეტულ სტუდენტთა მასპინძელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობის თაობაზე ინფორმაცია (სტუდენტის წარდგინება უცხოეთის შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) ეგზავნება შესაბამის მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამავდროულად, შერჩევის პროცესის შედეგად მიღებული შედეგები ეგზავნება შერჩევის პროცესში

მონაწილე ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული შედეგები საბოლოო არ არის და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია უარი თქვას (სრულად ან ნაწილობრივ) წარდგინებაზე, რაც აღინიშნება ამავე პუნქტში ნახსენებ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ შესაბამის შეტყობინებებში. სტუდენტს, რომელმაც მოიპოვა სტიპენდია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, უფლება ენიჭება უარი თქვას ამ პროგრამაში მონაწილეობაზე, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი ელ. წერილის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

25. მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია უნივერსიტეტიდან წარდგინების მიღების შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება მასთან წინასწარ ცნობილი (წინამდებარე წესით შესაბამის ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული შერჩევის პროცედურაში არსებული ვაკანტური ადგილების ოდენობა) ვაკანტური ადგილების გაზრდის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია იხელმძღვანელოს უკვე ჩატარებული შერჩევის პროცედურის შედეგად მიღებული სარეიტინგო სიით, თუ იგი იძლევა ამ წესით განსაზღვრული წესით დამატებით წარდგინების გაკეთების საშუალებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს ახალი შერჩევის პროცედურა ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით, თუმცა შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში.

26. მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბოლოოდ, უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი წარდგინების დადასტურებისა და წარდგენილ სტუდენტთა მიღების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი სტუდენტი გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალიდან იღებს ელექტრონულ წერილს, რომლითაც დასტურება მისი შესაბამის უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი პროგრამით მობილობის უფლება. აღნიშნულის შემდგომ, შესაბამისი სტუდენტი, მობილობასთან დაკავშირებულ სხვა აუცილებელ დეტალებს მიიღებს მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან. ხსენებული პროცესი სრულდება მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი სტუდენტისთვის მიწვევის წერილის გამოგზავნითა და ამ სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

27. გაცვლითი პროგრამით უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის დადგენილი ვადები გაგრძელებას არ ექვემდებარება (ვადების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით და უნივერსიტეტის თანხმობით, მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერვე დაწესებული პირობებით).

28. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე და მათზე დაყრდნობით, ყოველ ცალკეულ სტუდენტს, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფლება აქვს, თუ სწავლების ერთ საფეხურზე მისი უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობების ჯამური ვადა არ აღემატება 12 კალენდარულ თვეს, რომელიც შესაძლოა განაწილდეს მაქსიმუმ 3 სემესტრზე ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში და 2 სემესტრზე მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით შერჩევისათვის რეგისტრაცია და შერჩევა ავტომატურად გულისხმობს ამ პუნქტში მოცემული ვადის გადაცილებას (დარღვევას), სტუდენტს შეეზღუდება შერჩევის პროცესში მონაწილეობა.

29. აკრძალულია იმ სტუდენტის გაცვლით პროგრამაში მონაწილების მიზნით გამოცხადებულ შერჩევის პროცესში მონაწილეობა, თუ მას ანალოგიური პროცედურის საფუძველზე უკვე

მოპოვებული აქვს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის უფლება და მიმღებ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდი ემთხვევა მიმდინარე შერჩევის პროცესის შედეგად შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის პერიოდს.

მუხლი 5. პროცესში მონაწილე სუბიექტების პასუხიმგებლობის სფერო

ამ წესით დადგენილი პროცედურების მიმდინარეობისას მასში მონაწილე სუბიექტებს გააჩნიათ პასუხისმგებლობის სფეროები. უნივერსიტეტი, მისი სტრუქტურული ერთეულები და უფლებამოსილი პირები თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხიმგებელი არიან წინამდებარე წესის მოთხოვნათა დაცვაზე, გარდა სტუდენტის პასუხისმგებლობის სფეროში არსებული შემდეგი საკითხებისა, რომლებზედაც პასუხისმგებელია სტუდენტი (გარდა წინამდებარე წესით უკვე გათვალისწინებული საკითხებისა):

ა) რეგისტრაციის ეტაპზე:

ა.ა) დადგენილი ვადების დაცვა;

ა.ბ) შესაბამისი დოკუმენტების შექმნა;

ა.გ) სასწავლო ხელშეკრულების შევსება;

ა.დ) ყველა საჭირო დოკუმენტზე სათანადო ხელმოწერის მოპოვება;

ა.ე) სარეგისტრაციო პორტალზე პროფილის შექმნა და განაცხადის გაკეთება;

ა.ვ) პოტენციურ რეკომენდატორთან დროული კომუნიკაცია (თუ დადგენილი ვადების ამოწურვამდე რეკომენდატორმა არ შეავსო რეკომენდაციის შესაბამისი ველები, სტუდენტის განაცხადი არასრულად ითვლება და არ განიხილება);

ა.ზ) გასაუბრებაზე დასწრება;

ა.თ) საკუთარი შესაბამისი ელექტრონული ფოსტის ხშირი შემოწმება;

ა.ი) უნივერსიტეტის ვებგვერდის ხშირი შემოწმება;

ა.კ) მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობა.

ბ) გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის შერჩევისა და მისი წარდგინების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადასტურების შემთხვევაში:

ბ.ა) სურვილის შემთხვევაში, წარდგინებაზე უარის განცხადება დათქმულ ვადაში;

ბ.ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული პირობების გაცნობა და წესების ზედმიწევნით დაცვა;

ბ.გ) სავიზო პროცედურის დროულად დაწყება და ვიზის მოპოვება;

ბ.დ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება;

ბ.ე) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში ჩასვლა და დარჩენა მობილობის სრული პერიოდის დასრულებამდე;

ბ.ვ) ბაკალავრიატის და მაგისტრატურის შემთხვევაში, მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო დისციპლინების გავლა (კრედიტების ჯამური ოდენობა არანაკლებ 20 კრედიტისა სემესტრში) და გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

ბ.ზ) დოქტორანტურის შემთხვევაში, მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ მასპინძელთან კომუნიკაცია და წინასწარ შეთანხმებული სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმოება;

ბ.თ) მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოფნისას სასწავლო ხელშეკრულებაში მითითებული საგნების შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტის (თსუ) შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კომუნიკაცია და სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილების გაფორმება წერილობით, ყველა საჭირო ხელმოწერის მოპოვება;

ბ.ი) მობილობის სასწავლო პერიოდის დასრულებისთანავე საქართველოში დაბრუნება და კრედიტების აღიარების პროცესის დაწყება უნივერსიტეტში.

მუხლი 6. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტთა შერჩევის პროცედურა მიმღები (მასპინძელი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირობებით

1. იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით სტუდენტთა შერჩევა და სხვა პროცედურები უნდა განხორციელდეს მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნით, მათ მიერვე, უნივერსიტეტი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე უზრუნველყოს აღნიშნულის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე შესაბამის განცხადებაში და საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უნივერსიტეტის დაინტერესებულ სტუდენტთა კომუნიკაციას, ინფორმაციის გაცვლას და სხვ. (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შერჩევის პროცესი ტარდება მიმღები უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, თუმცა მისივე ინიციატივითა და მის მიერვე დაწესებული კრიტერიუმებით შერჩევის პროცესის ჩატარება უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტმა. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი სარგებლობს წინამდებარე წესით განსაზღვრული დებულებებით, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული შერჩევის კრიტერიუმებისა).

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შერჩევის პრინციპები, პროცედურები, ამ პროცესში უნივერსიტეტის შესაძლო ჩართულობის ხარისხი და შინაარსი და სხვა აუცილებელი საკითხები დგინდება და პროცედურა ხორციელდება თავად მასპინძელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მუხლი 7 . დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესის საფუძველზე უნივერსიტეტისა და მის უფლებამოსილ პირთა, ასევე სტრუქტულ ერთეულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მათ შორის, შერჩევის პროცედურის მიმდინარეობისას მიღებული შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებები) შესაძლოა გასაჩივრდეს უშუალოდ საქართველოს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.